

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №269
2021 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 92¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმოევა უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაზრო ფასი არ გამოიყენება, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არაუმეტეს 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება არაუმეტეს 10%-ით აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

მაგალითი 1

შემოწმებით დადგინდა, რომ გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე 100 000 ლარის საბალანსო ღირებულებით ერიცხება შენობა-ნაგებობა, რომელიც არ გადაფასებულა ბოლო 3 წლის განმავლობაში. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები.

შეფასება:

ვინაიდან ქონება არ იყო გადაფასებული ბოლო 3 წლის განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს, ამ ინსტრუქციის 92² მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, უფლება აქვს საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით, რომელმაც შეადგინა 110 000 ლარი.

ამასთან, ვინაიდან უძრავი ქონების საბაზრო ფასი მის საბალანსო ღირებულებას 10%-ით არ აღემატება $(110\ 000 - 100\ 000) / 100\ 000 \times 100 = 9\%$, საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენება არ მოხდება.“.



მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

